პროლეტარეთნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. აგვისტოს 18 № 10 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

89. დადგენილება № 43 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების—საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ.

90. დადგენილება № 44 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

91. დადგენილება № 46 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გამაუმჯობესებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

92. დადგენილება № 48 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლის შესახებ.

93. დადგენილება № 49 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების მე-5 მუხ. შეცვლისა და ამ დებულებისათვის მე-5-[1] მუხლის დამატების შესახებ.

94. დადგენილება № 50 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელი ქმედობისათვის გადასახდელის დადების დებულების შევსების შესახებ.

95. დადგენილება № 51 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

96. დადგენილება ს. კ. ს.—ახალმშენებლობის სამმართველოს—სახელწოდებით „ახალმშენებლობა"—დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ახალმშენებლობის სამმართველოს შესახებ—სახელწოდებით „ახალმშენებლობა".

97. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს შესახებ.

98. დადგენილება ს. კ. ს.—ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელი გვარდიელებისა და აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის ხარისხოვანი სათესლე მასალის შეღავათიან პირობებში მიწოდების შესახებ.

99. დადგენილება ს. კ. ს.—ქალაქებში შენობების ხელახალი შეფასების შესახებ.

100. დადგენილება ს. კ. ს.—ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსარის გამოყოფის შესახებ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერებისათვის სესხის გასაცემად.

101. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

102. დადგენილება ს. კ. ს.—ამიერ-კავკასიის რკინის გზისათვის ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურიდან რიონის ჰიდრო-ელექტრონის სადგურამდე ელექტროგადაცემის ხაზის გასაყვანად და ამ მიზნისათვის საჭირო ნაგებობათა და შენობათა მოსაწყობად სათანადო მიწების მიკუთვნების შესახებ.

103. დადგენილება ს. კ. ს.—საბავშვო ბაგათა შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

89. დადგენილება № 43 ც. ა. კ.

(მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების—საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 34 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გადაკეთებულ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს გამოსცეს და სამოქმედოდ შემოიღოს დებულება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართ. ცენ. აღმას. კომიტ. მდივ. **შ. მათიკაშვილი.**

1928 ივლისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

90. დადგენილება № 44 ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 33 მუხლისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-12 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გადიდებულ იქნეს 24 წევრამდე.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ი. ბ. ბოლქვაძე, გ. ა. მგალობლიშვილი და ვ. ა. ვაშაკიძე, ხოლო ბ. ტ. მაჩაიძე კანდიდატთაგან გადარიცხულ იქნეს პრეზიდიუმის წევრად.

3. ამხ. შალვა სპირიდონის-ძე მათიკაშვილი განთავისუფლებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობისაგან.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნეს ამხ. იაკობ მიხეილის-ძე ვარძიელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. ივლისის 4.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. დადგენილება № 46 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გამაუმჯობესებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დაარსების 7 წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავენ მუშათა და გლეხთა მილიციის მუშაობას რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროების დაცვის საქმეში და მის მომუშავეთა ყოფა-ცხოვრებისა და სამსახურის გასაუმჯობესებლად—ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სამუშაო ხელფასი 1928-29 საბიუჯეტო წლიდან გაადიდონ იმდენად, რომ მილიციონერის ძირითადი თვიური განაკვეთი ქ. ტფილისსა, სოხუმსა, ბათომსა და ცხინვალში არ იყოს 40 მანეთზე ნაკლები, სამაზრო ქალაქებში—37 მან. 50 კაპ. ნაკლები და სხვა ადგილას—34 მან. ნაკლები.

გადიდებულ იქნეს თანაბრად უფრისი მილიციონერებისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსი აგენტების სამუშაო ხელფასი. სამუშაო ხელფასის რაოდენობა სამაზრო მილიციის უფროსისათვის დაწესებულ იქნეს არა ნაკლებ 125 მანეთისა თვეში, თანაშემწესათვის—არა ნაკლებ 90 მან. თვეში, ხოლო სარაიონო მილიციის უფროსისათვის და საოზერვო მილიციის უფროსისათვის—არა ნაკლებ 50 მან. თვეში.

2. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიიღონ ღონისძიება, რათა მათ ბიუჯეტში შეტანილ იქნეს სათანადო ხარჯი მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა სამოსით, საჭურველით და იარაღით მომარაგებისათვის—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ტაბულების მიხედვით.

3. სასამსახურო და ოპერატიული წარვლინებით გამოწვეული ხარჯი მილიციის უფროსსა და სამწყობრო შედგენილობის თანამშრომელს აენაზღაურება საერთო საფუძველზე; სარაიონო მილიციის თანამშრომელს აენაზღაურება რაიონის ფარგლებს გარედ წარვლინებით გამოწვეული ხარჯი, ხოლო სამაზრო მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს—მაზრის ფარგლებს გარედ წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯი.

4. ზედმეტი მუშაობა შეიძლება ოპერატიული დავალებისა (ბრძოლა ბანდიტიზმთან, ხანძართან და სხვ.) და სამსახურებრივი შინჯვის დროს. აღნიშნული ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდლის გაცემა მოხდება საერთო წესით. დასვენების დღეს და უქმე-დღეს მუშაობისათვის სასყიდლის ფულად გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ შეუძლებელი იქნება, რომ აღნიშნული დღეების ნაცვლად მომუშავეს სხვა დასვენების დღეები მიეცეს.

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა აქტიური სამწყობრო შედგენილობის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთა ბინებით უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნულ მომუშავეთა ბინების მშენებლობისათვის ყოველწლიურად, 1928-29 წლიდან დაწყებული, მუშათა საბინაო მშენებლობის ადგილობრივი ფონდიდან, რაც მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. 36 №-რი, მუხ. 369) მე-14 მუხლის თანახმად შეიქმნება, გამოყოფილ იქნეს განსაზღვრული პროცენტი, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ამასთან ერთად აღნიშნულ მომუშავეებზე და მათი ოჯახის წევრებზე საბინაო შეღავათებისა და უპირატესობის სფეროში გავრცელებულ იქნეს „სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების კანონთა კოდექსის“ (სსრკ კან. კრებ. 1924 წ. № 21, მუხ. 198) მე-II კარის მე-4 თავში და მე-III კარის მე-4 თავში გათვალისწინებული შეღავათები.

6. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს—უახლოესი წლის განმავლობაში განახორციელონ მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სახელმწიფო დაზღვევა სიკვდილისა ან ინვალიდობის შემთხვევისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ მოვალეობის შესრულების გამო.

7. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს კანონდებულებათა პროექტი მილიციის მომუშავეების სხვა შეღავათების შესახებ.

8. მიენდოს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ამა დადგენილების საფუძველზე გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაევალება გამოსცეს, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, სათანადო დადგენილება და შემდგომ წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

1928 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 160 №-ში 1928 წ. ივლისის 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92. დადგენილება № 48 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის თარიღისა და 62 №-რის დადგენილებით დამტკიცებული სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 100) 4, 17, 19, 22, 27, 33 და 40 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 4 სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ კანონებსა და აგრეთვე სახალხო კომისარიატების და ზემდგომ აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებსა, ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს, და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნული აქტების შინაარსს.

მუხ. 17. ადმინისტრატიული გადასახდელის უკიდურესი რაოდენობა, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სავალდებულო დადგენილებით შემდეგია:

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ტფილისის საქალაქო საბჭოსი და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებით:

ა) ქალაქ ტფილისისათვის—ჯარიმა ას მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ერთ თვემდე;

ბ) სოფლებისათვის—ჯარიმა ხუთ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

2. ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა, ტფილისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის გარდა, სამაზრო ქალაქებისა და ქალ. ფოთისა, ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოების და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებით:

ა) ქალაქებისათვის—ჯარიმა 50 მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ორ კვირამდე;

ბ) სოფლებისათვის—ჯარიმა ხუთ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული ადმინისტრატიული გადასახდელის უმაღლესი ღონისძიება არა ვრცელდება ისეთ სავალდებულო დადგენილებაზე, რომლის დარღვევისათვისაც საქართველოს სოც. საბჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სხვა რამ გადასახდელი. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო დადგენილებაში ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს ის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში.

მუხ. 19. უკეთუ ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელი იქნება (დამრღვევის ხელმოკლეობის გამო), ჯარიმა, იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც დაჯარიმება გადასწყვიტა, შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობად, იმ ანგარიშით, რომ ჯარიმის ყოველ ას მანეთზე მოდიოდეს ერთი თვის იძულებითი მუშაობა, ხოლო ამ მუშაობის ვადა, ყოველ შემთხვევაში, მე-17 მუხლით დადგენილ ფარგლებს არ უნდა აღემატებოდეს.

სოფლად ჯარიმა 3 მანეთამდე შეიძლება შეიცვალოს იძულებით მუშაობად ორ დღემდე, ხოლო ჯარიმა 3 მანეთიდან 5 მანეთამდე—იძულებით მუშაობად სამ დღემდე.

ჯარიმის შეცვლა დატუსაღებად არ შეიძლება.

მუხ. 22. იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რაც გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ, ან ტფილისისა, ქუთაისისა და გორის საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების მიერ, ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს,—სამაზრო მილიციის უფროსი. ფოთის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს ფოთის მილიციის უფროსი. ქალ. ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოების და მათი პრეზიდიუმების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს სათანადო საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხ. 27. ოქმი სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ წარედგინება, კუთვნილებისამებრ, იმ დაწესებულებას ან პირს, რომელსაც ამა დებულების 22 მუხლის თანახმად მინიჭებული აქვს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლება; ეს დაწესებულება ან პირი საკითხს გადასახდელის დადების შესახებ გადასწყვეტს ადმინისტრატიული წესით ან წარმართავს საქმეს სასამართლო წესით განსახილველად. უკეთუ პასუხისმგებლობა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სასამართლო წესით (მუხ. 9), ან, უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევას თან სდევდა ისეთი ქმედობა, რისთვისაც დამნაშავემ პასუხი სისხლის სამართლის კოდექსით უნდა აგოს.

სოფლად, ამა დებულების 23 მუხლით გათვალისწინებულ პირობებში, ოქმი წარედგინება სათანადო სათემო აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა 1. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო მსახური, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მსახურობს, ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულება ან პირი ოქმს გაუგზავნის სათანადო სამხედრო უფროსს; ეს უკანასკნელი მიიღებს სადისცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლინო ზეგავლენის საჭირო ღონისძიებას მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით და გადასახდელის დადებას აცნობებს იმ ორგანოს, რომელმაც შეატყობინა მას სავალდებულო დადგენილების დარღვევა.

შენიშვნა 2. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი 16 წლამდე, ოქმი გაეგზავნება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

მუხ. 33. საჩივარი ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადებაზე შეიტანება:

ა) უკეთუ სავალდებულო დადგენილება, რომლის დარღვევისათვისაც გადაწყვეტილია გადასახდელი, გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ—სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

ბ) უკეთუ სავალდებულო დადგენილება გამოცემულია ტფილისისა, ქუთაისისა, გორის ან ფოთის საქალაქო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ—სათანადო საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში;

და გ) ყველა სხვა შემთხვევაში—სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

მუხ. 40. უკეთუ დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა, მან საამისო თანხა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან სათემო აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც დარღვევა მოხდა, ან—სადაც დამრღვევი სცხოვრობს.

ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება მოხდება ამა მუხლის 1 ნაწილში აღნიშნული ვადის გასვლისას და გადახდევინება მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის შონებაზე, საერთო წესისამებრ.

ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის იძულებით გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს—„გადასახადთა გადახდევინების დებულების" (სსრკ. კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518) 17, 18 და 21 მუხ.

ადმინისტრატიული წესით მუშა-მოსამსახურეზე დადებული ჯარიმის იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს იმ სამუშაო ხელფასზე, რაც მუშა-მოსამსახურეს დამქირავებელისაგან ერგება.

24 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში ფულის მიღების ქვითარს გასცემს ის თანამდებობის პირი, რომელიც ჯარიმას გადაახდევინებს.

II.

გაუქმებულ იქნეს აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლის შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ თავიანთი დებულებანი სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის იანვრის 4-ს დადგენილებას „ადმინისტრატიული წესით ჯარიმის დადების შეზღუდვის შესახებ“ („იზვესტია“-ს, 1928 წ. მე-13 №-რი) და ამა დადგენილებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“-ს 127 №-ში 1928 წ. ივლისის 27-ს.

---

93. დადგენილება № 49 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების მე-5 მუხლის შეცვლისა და ამ დებულებისათვის მე-5[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ს თარიღისა და 43 №-რის დადგენილებით (კან. კრებ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 71) დამტკიცებული „სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების“ მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 5. სათემო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწესდება შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 3 მანეთისა;

ბ) იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გადასახდელი, რაც შეიძლება დამნაშავეს დაედვას, უნდა აღინიშნოს სავალდებულო დადგენილებაში.

შენიშვნა 1. იძულებითი მუშაობა შესრულებულ უნდა იქნეს იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელსაც ეს მუშაობა გადაეწყვიტა; უკეთუ საჭირო იქნება, იძულებითი მუშაობა შეიძლება დაინიშნოს სხვა ადგილზედაც, ხოლო არა უშორეს ათი ვერსის მანძილისა სამუშაოს შემსრულებელი პირის საცხოვრებელი ადგილიდან.

შენიშვნა 2. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ადგილობრივი პირობების მიხედვით, განსაზღვრავს იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც იძულებითი მუშაობის შეფარდება სოფლად არ შეიძლება, და იგი სხვა დროისათვის უნდა იქნეს გადატანილი.

II.

აღნიშნულ დებულებას დაემატოს 5¹—მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 5¹. უკეთუ დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა, მან საამისო თანხა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან სათემო აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც დარღვევა მოხდა ან სადაც დამრღვევი სცხოვრობს.

ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება მოხდება ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული ვადის გასვლისას და გადახდევინება მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე, საერთო წესისამებრ.

ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის იძულებით გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518) 17, 18 და 21 მუხ.

ადმინისტრატიული წესით მუშა-მოსამსახურეზე დადებული ჯარიმის იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს იმ სამუშაო ხელფასზე, რაც მუშა-მოსამსახურეს დამქირავებელისაგან ერგება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ივნისის 20.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 171 №-ში 1928 წ. ივლისის 26.

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

94. დადგენილება № 50 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხიხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელი ქმედობისათვის გადასახდელის დადების დებულების შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 17-ს დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას „სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელი ქმედობისათვის გადასახდელის დადების შესახებ" (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-რი, მუხ. 51) დაემატოს მე-14[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 14[1]. უკეთუ დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა, მან საამისო თანხა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან სათემო აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც დარღვევა მოხდა, ან—სადაც დამრღვევი სცხოვრობს.

ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება მოხდება ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული ვადის გასვლისას და გადახდევინება მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე, საერთო წესისამებრ.

ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის იძულებით გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს „გადასახადთა გადახდევინების დებულების" (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518) 17, 18 და 21 მუხ.

ადმინისტრატიული წესით მუშა-მოსამსახურეზე დადებული ჯარიმის იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს იმ სამუშაო ხელფასზე, რაც მუშა-მოსამსახურეს დამქირავებელისაგან ერგება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. ი. **ვარძიელი.**

1928 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 169 №-ში 1928 წ. ივლისის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. დადგენილება № 51 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 29-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 391) დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-რი, მუხ. 392 და 66 №-რი, მუხ. 671) განსავითარებლად და დასამატებლად ადგენენ:

1. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 29-ს დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ მოქმედება, ამა დადგენილებით მიღებული დამატებებით, გავრცელებულ იქნეს სამრეწველო ტრესტებზე, რომელთაც საწესდებო კაპიტალი 100.000 მან. ნაკლები არა აქვთ, და რომელნიც აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-სა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სახალხო მეურნეობის ორგანოების გამგებლობაშია.

2. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის დაარსების ნებართვის მიცემა, „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ მე-9 მუხ. წესისამებრ, დაეკისროს საქართველოს სსრ ეკონომიურ თათბირს.

3. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის წესდების დამტკიცება დაეკისროს: ა) აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—იმ ტრესტების მიმართ, რომელთაც დააარსებენ მათი ქვემდებარე ორგანოები; ბ) ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—მის მიერ მოწყობილი ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტების მიმართ და გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სხვა დანარჩენ სამრეწველო ტრესტების მიმართ.

შენიშვნა 1. წესდების დამტკიცების დროს საკითხი ტრესტის კაპიტალების შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

შენიშვნა 2. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე რესპუბლიკანური მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო ტრესტების ტიპიურ წესდებებს შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

4. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების (რომელთაც ასი ათასი მან. და მეტი საწესდებო კაპიტალი აქვთ) ქონების მიღება და ჩაბარება, „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულების" მე-12 მუხლის თანახმად, განისაზღვროს იმ წესით, რაც დადგენილ იქნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

5. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის წესდება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული"-ს მეორე განყოფილებაში, საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების სპეციალური კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

6. „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების" მე-15 მუხლის განსავითარებლად და დასამატებლად იმ რესპუბლიკანური და ადგილობრივ დაწესებულებათათვის, რომელთა გამგებლობაშიაც სახელმწიფო სამრეწველო ტრესტებია (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გარდა), დადგენილ იქნეს შემდეგი წესი ისეთი საკითხების განხილვისა, რაც მათი კომპეტენციის საგანს შეადგენს:

ა) უკეთუ ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია, რომ საქმე ფინანსიურად მოგვარებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადადებული სახსარით, ასეთი გეგმა დამტკიცდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით; სხვა შემთხვევაში ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ბ) იმავე წესით გადაწყდება საკითხი ტრესტის უკვე დამტკიცებულ საწარმოო-საფინანსო გეგმაში შესატანი არსებითი ცვლილების შესახებ;

გ) ახალ საწარმოთა მშენებლობისა, აგრეთვე არსებულ საწარმოთა გაწყობილობის დამთავრებისა და გადაკეთების გეგმებისა და ტეხნიკური პროექტების დამტკიცება მოხდება საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის ფედერატიული კანონმდებლობით და საქართველოს სსრ მთავრობის სპეციალური კანონით განსაზღვრული წესისამებრ;

დ) დადგენილება საწარმოს იჯარით გაცემისა და აღების ნებართვის შესახებ იჯარის ვადის მიუხედავათ, გარდა ტრესტისათვის დამხმარე ხასიათის მქონე საწარმოს იჯარით გაცემისა თუ აღებისა, ვადით არა უმეტეს ექვსი წლისა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ე) ტრესტის ანგარიში, ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიში და დადგენილება მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის საშუალების შესახებ, აგრეთვე სალიკვიდაციო ანგარიში და ბალანსი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეგზავნება ცნობისათვის;

ვ) უკეთუ ამა მუხლის წინა პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხი საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ისეთი საკითხების გამო, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობისათვის ეგზავნება, მას უფლება აქვს განაპროტესტოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში იმ დაწესებულების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის გამგებლობაშიაც ტრესტია, შემდეგი მოტივით: რომ ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება ტრესტების შესახებ არსებულ კანონმდებლობას, სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას და საერთო ეკონომიურ პოლიტიკას და რომ იგი არსებითად განესხვავება საკონტროლო ციფრებს ან უკვე დამტკიცებულ საწარმოო-საფინანსო გეგმას.

7. „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ 25 მუხლით გათვალისწინებულ ტიპიურ დებულებას—ტრესტის შედგენილობაში შემავალ საწარმოთა გამგებლობის შესახებ—შეიმუშავებს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

8. ასი ათასი მან. საწესდებო კაპიტალისა და მეტისაც მქონე ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტისათვის სპეციალური კაპიტალების შექმნა, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ 43 მუხლის მე-2 ნაწილით, შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

9. „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ 46 მუხლით დაწესებულ მოგების სავალდებულო ანარიცხების ნუსხას ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო ტრესტებისათვის (რომელთაც 100.000 მან. და მეტი საწესდებო კაპიტალი აქვთ) დაემატოს „ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის არსებულ სპეციალურ ფონდში“ (ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 17-ს დადგენილება; ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. 18) გადასადები ანარიცხი.

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში საგეგმო პრინციპების განხორციელების შესახებ“ 1927 წ. მაისის 3-ს თარიღით და 46 №-რით გამოცემული (საქარ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-რი, მუხ. 75) დადგენილების მე 3 და 4 მუხლები გაუქმებულ იქნეს და, ახალი სამრეწველო მშენებლობის გეგმებისა და ტეხნიკური პროექტების დამტკიცების წესის შესახებ სპეციალური კანონის გამოცემამდე, ძალაში დარჩეს აღნიშნული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

96. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ახალმშენებლობის სამმართველოს—სახელწოდებით „ახალმშენებლობა“ დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ახალმშენებლობის სამმართველოს შესახებ სახელწოდებით „ახალმშენებლობა“.

2. გაუქმებულ იქნეს დებულება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ახალშენებათა კომიტეტის შესახებ, რაც 192[illegible] წ. იანვრის 14-ს დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ.

3. ახალმშენებათა კომიტეტის გაუქმებისთანავე, მთლად მისი აქტივი და პასივი გადაეცეს ახალმშენებლობის სამმართველოს („ახალმშენებლობა“-ს).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 20.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ახალმშენებლობის სამმართველოს შესახებ—სახელწოდებით „ახალმშენებლობა“.

1. მშენებლობის გეგმიანი ორგანიზაციისათვის, საქართველოს სმუს-ის ორგანოების გამგებლობაში მყოფი ახალი ფაბრიკებისა და ქარხნებისა და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების ასამუშავებლად მომზადებისათვის და ტეხნიკურ და მატერიალურ სახსართა და ტეხნიკურ ძალთა საუკეთესოდ გამოყენებისათვის—საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსდება ახალი ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების საამშენებლო სახელმწიფო სამმართველო—სახელწოდებით „ახალმშენებლობა“, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ სმუს-ის გამგებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ახალმშენებლობის“ გამგებლობაშია:

ა) ყველა ის სამუშაო, რაც წარმოებულ უნდა იქნეს საქართველოში მრეწველობის ახლად შექმნილი დარგებისათვის საჭირო, საქართველოს სმუს-ის საგამგებლო, ფაბრიკებისა და ქარხნების ასაშენებლად და გასაწყობად, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების ასაგებად;

ბ) ის თვალსაჩინო და პასუხსაგები სამუშაო, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს საქართველოს სმუს-ის ტრესტებისა და შენაერთების მიერ, როგორც ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების ასაგებად, ისე არსებული ფაბრიკებისა და ქარხნების გადასაკეთებლად; ამასთანავე რომელიმე ასეთი სამუშაოს „ახალმშენებლობისათვის“ გადაცემა მოხდება ყოველთვის საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით;

გ) ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთათვის განსახორციელებელი ყველა ის სამუშაო, რაც ფინანსიურად მოგვარებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანური ან საერთო-საკავშირო წესით;

დ) საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის სპეციალური წინადადებით პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შემუშავება ასაგებად განზრახული ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, ყველაფერში საამისოდ არსებული ინსტრუქციების თანახმად.

შენიშვნა. „გ“ პუნქტში ადნიშნული რომელიმე სამუშაოს „ახალმშენებლობისათვის“ გადაცემის დროს სმუს-ის პრეზიდიუმი თავის საამისო დადგენილებაში განსაზღვრავს იმ პირობებს, რა პირობებითაც სამუშაო გადაეცემა „ახალმშენებლობას:“ სამუშაოს დამთავრების ვადას, შესასრულებელი სამუშაოს გეგმას და ფინანსიურად მოგვარების წესს, პასუხისმგებლობას მუშათა და მოსამსახურეთა და აგრეთვე მესამე პირთა წინაშე და სხვ.

3. „ახალმშენებლობა“ განაგებს ყველა დაკისრებული სამუშაოს ადმინისტრატიულ, საორგანიზაციო, ტეხნიკურ და საფინანსო სფეროს. თავისი მოქმედებისათვის „ახალმშენებლობა“ პასუხისმგებელია საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის წინაშე, რომლის დირექტივებსაც იგი იხელმძღვანელებს თავის საქმიანობაში.

4. 1-სა და მე-2 მუხლებში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად „ახალმშენებლობა“-ს დაეკისრება:

ა) აწარმოოს ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების აგების, გაწყობისა და რემონტისათვის საჭირო მუშაობა სამეურნეო, ნარდად გაცემისა და შერეული წესით; მოამზადოს ეს ფაბრიკები, ქარხნები და სადგურები ასამუშავებლად და გადასცეს ნაგებობანი სათანადო ორგანოებს;

ბ) გამართოს, საქართველოს სსრ სმუს-ის სპეციალური დავალებით, სხვა დამატებითი ნაგებობანი და გაწყობილებანი, რაც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების აშენებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ახალმშენებლობის სამმართველო იმყოფება ქ. ტფილისში; მას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების გამოსახულებით.

6. საქართველოს სმუს-ის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დაამტკიცოს, არსებული წესისამებრ, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების სამშენებლო და გაწყობილობის პროექტები, საწარმოო-საფინანსო გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები და ფინანსიურად მოგვარების საკალენდრო გეგმები, და ამ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების არსებითი ცვლილებები; დაამტკიცოს აგრეთვე „ახალმშენებლობის" წლიური ანგარიშები და ბალანსები და საგეგმო აპარატის შტატები;

ბ) დანიშნოს „ახალმშენებლობის" უფროსი, მისი თანაშემწე და სალიკვიდაციო კომისიის წევრები და დაამტკიცოს უფროსი ბუხჰალტერი;

გ) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს ფაბრიკებისა, ქარხნებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების სააღმშენებლო მუშაობას და გაწყობის საქმეს, კერძოდ, დამტკიცებული გეგმებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

დ) განიხილოს და გადასწყვიტოს „ახალმშენებლობის" საგამგებლო მუშაობის წარმოებასთან და ფინანსიურ მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები;

ე) განკარგულებაში იქონიოს, არსებული წესის მიხედვით, მშენებლობისათვის გადადებული სახსარი.

ე) მოახდინოს „ახალმშენებლობის" საქმეებისა და მუშაობის გამოკვლევა.

7. ამა თუ იმ შემთხვევისათვის საქართველოს სმუს-ს უფლება აქვს გამოჰყოს „ახალმშენებლობიდან" განსაკუთრებით დიდი სამუშაო (რომელიმე ძალოვანი ფაბრიკის ან ქარხნის აშენება) და გადასცეს განსაკუთრებულ სამმართველოს, რომელიც მოეწყობა ამავე დებულების თანაბარ პრინციპებზე.

8. ახალმშენებლობის სამმართველოს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება;

კერძოდ მას უფლება ეძლევა:

ა) იყიდოს და გაჰყიდოს ქონება და მასალა როგორც ანგარიშის ნაღდი გასწორებით, ისე ნისიად;

ბ) აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა მშენებლობისათვის საჭირო მიწის მიჩენის შესახებ;

გ) დასდოს ყოველგვარი ხელშეკრულება და შეთანხმება, როგორც სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან, ისე საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციასა და პირთან;

დ) აწარმოოს საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია საწარმოო-საფინანსო გეგმით;

ე) გასცეს თამასუქები და სხვა სავადო ვალდებულება და აგრეთვე გაანაღდოს ახალმშენებლობის სამმართველოს სახელზე შემოსული თამასუქები;

ვ) მისცეს დაწესებულებასა და კერძო პირს რწმუნებულობა სხვაზე გადაცემის უფლებით ან უამისოდ;

ზ) დანიშნოს, გადაიყვანოს და დაითხოვოს უმაღლესი ადმინისტრატიული და ტეხნიკური პერსონალი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მიიწვიოს, საჭიროებისდამიხედვით, გარეშე სპეციალისტები, კონსულტანტები და ექსპერტები იმ საკითხებისათვის, რაც დაკავშირებულია ფაბრიკებისა და ქარხნების გამოკვლევასთან, პროექტების შედგენასთან, მშენებლობასთან და გაწყობასთან.

9. „ახალმშენებლობის" გამგებლობა დაეკისრება საქართველოს სმუს-ის მიერ დანიშნულ ახალმშენებლობის სამმართველოს უფროსს და მის თანაშემწეს, რომელიც ამავე დროს „ახალმშენებლობის" მთავარ ინჟენრად ითვლება.

10. „ახალმშენებლობის" სამმართველოს დაეკისრება:

ა) საერთო და წლიური საფინანსო-საწარმოო გეგმებისა, სამმართველოს აპარატის შტატებისა, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაოების ფინანსიურად მოგვარების საკალენდრო გეგმების შემუშავება და არსებული წესი-სამებრ წარდგენა საქართველოს სმუს-ისათვის დასამტკიცებლად;

ბ) უკვე წარმოებულ გამოკვლევათა შემოწმება, დაწვრილებითი პროექტების შედგენა და აგრეთვე სამუშაო პროექტებისა, შეფასების ნუსხებისა და მუშაობის წარმოების ტეხნიკური პირობების და სხვ. დამტკიცება;

გ) საჭირო სამეურნეო და სატეხნიკო ინვენტარისა, გაწყობილობისა და მასალების დამზადება და შეძენა; მათ შორის საიმპორტო მასალებისაც; საზღვარგარეთ დასაკვეთ გაწყობილობის სპეციფიკაციისა და სიების შედგენა; დამხმარე საწარმოო ერთეულთა და განაწყობთა ორგანიზაცია (სახელოსნო, დროებითი ძალ-საღგური, სატრანსპორტო საშუალება, საწყობი, ხე ტყის დამზადება), რაც კი საჭირო იქნება მშენებლობისათვის მასალის დასამზადებლად და სამშენებლო მუშაობის რაციონალიზაციისა და მექანიზაციისათვის;

დ) სამეურნეო, ნარდად გაცემის ან შერეული წესით, საქართველოს სმუს-ის მიერ დამტკიცებული პროექტებისა და საკალენდრო გეგმების თანახმად, მუშაობის წარმოება და ამ მუშაობისათვის ტეხნიკური ზედამხედველობის გაწევა;

ე) საქართველოს სმუს-ის მიერ სხვადასხვა მშენებლობისათვის გადადებული თანხების განკარგულება დამტკიცებული საკალენდრო გეგმების ფარგლებისა და საქართველოს სმუს-ის დირექტივების მიხედვით;

ვ) ცალკეულ სამუშაოთა შორის კრედიტების განაწილება; ახალმშენებლობის სამმართველოში შესული თანხების ხარჯვის ანგარიშების ორგანიზაცია და წარმოება; ერთ სამუშაოდან მეორეზე კრედიტის გადაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის სპეციალური ნებართვით;

ზ) მთელი მშენებლობის აპარატის (სამმართველოს განყოფილების) ორგანიზაცია; განყოფილებათა გამგებლობის საგნებისა და მოქმედების წესის განსაზღვრა; საჭირო მუშა-მოსამსახურეთა დანიშვნა, ხოლო არა უმეტეს იმ ნორმისა, რაც არსებობს სამშენებლო სამუშაოთა ადმინისტრატიულ-სატეხნიკო ზედამხედველობისათვის; აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა და დათხოვნა; უფროსსა და მის თანაშემწის შორის მოვალეობათა განაწილება;

თ) იმ პრინციპიალური სატეხნიკო საკითხების გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია „ახალმშენებლობის" საგამგებლო სამუშაოებთან;

ი) თავისი გამგებლობის საგნების სფეროში ურთიერთი მიმართვა ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციასთან და აგრეთვე კერძო პირთან; ხოლო საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სამმართველოს უფროსი მიმართავს საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის მეშვეობით.

11. ახალმშენებლობის სამმართველოს უფროსი, დაკისრებული სამუშაოს განხორციელებისადა მიხედვით:

ა) გადასცემს, საქართველოს სმუს-ის დირექტივის თანახმად, სათანადო ორგანოს დამთავრებულ ნაგებობას გადაცემ-მიღების აქტის შედგენით; გადასცემს აგრეთვე სამუშაოს აღსრულების ნახაზებს, განმარტების წერილს, გეგმებს, აქტებს, ნაგებობის დაზიანებულ ნაწილთა აღწერას, მათი თავიდან ასაცილებლად მიღებულ ღონისძიებისა და მიღწეულ შედეგების აღნიშვნით; თანაც დაურთავს გადასაცემ ნაგებობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დოკუმენტის ასლს;

ბ) წარუდგენს საქართველოს სმუს-ს დამთავრებულ ფულისა და მასალისა და სატეხნიკო ანგარიშებს ყველა თვითეული ნაგებობის შესახებ, გამმართლებელი დოკუმენტების თანდართვით;

გ) ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ წარუდგენს საქართველოს სმუს-ს საერთო ანგარიშს.

12. ურთიერთი დამოკიდებულების სალიკვიდაციოდ „ახალმშენებლობა"-სა და მომავალ საწარმოს შორის, ვის ხელშიაც ესა თუ ის დამთავრებული ნაგებობა (ფაბრიკა, ქარხანა, ელსადგური) გადადის საექსპლოატაციოდ, საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, მოეწყობა მიმღები კომისია, რომელიც, წინა (11) მუხლში აღნიშნული საქმის შესრულებასთან ერთად, შეადგენს მშენებლობის დამთავრებულ ბალანსს, რაც საფუძვლად დაედება ამ ნაგებობის შესავალ ბალანსს.

13. ადგილობრივ მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრება მუშაობის პასუხისმგებელ მწარმოებლებს, რომელთაც დანიშნავს ახალმშენებლობის სამმართველოს უფროსი.

მუშაობის მწარმოებელს დაეკისრება:

ა) შეასრულოს მუშაობა დამტკიცებული პროექტებისა და ხართაღრიცხვის მიხედვით;

ბ) მოამარაგოს მუშაობისათვის ყველა საჭირო მასალა, რაც ადგილობრივ მოიპოება;

გ) მოაწყოს მუშაობის გამგებლობის საქმე და ხელმძღვანელობა გაუწიოს თანამშრომელთ;

დ) დანიშნოს, გადაიყვანოს და დაითხოვოს შენებაზე მომუშავე მუშა-მოსამსახურენი, უფროსი ადმინისტრატიული და ტეხნიკური პერსონალის გარდა;

ე) დასდოს ხელშეკრულებანი მასალების ყიდვა-მიწოდებისა და სამუშაოს ნაჭრობით გაცემის შესახებ, ხოლო რაოდენობით არა უმეტეს 10.000 მან. თანხისა, რაც შემდეგ ახალმშენებლობის სამმართველოს უნდა მოახსენოს;

ვ) აწარმოოს მუშაობის სრულიად დაწვრილებითი ფულადი, სამასალო და სატეხნიკო ანგარიშგება;

ზ) მიაწოდოს ახალმშენებლობის სამმართველოს, ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ყადაზე, პერიოდული ცნობები მუშაობის მსვლელობისა და ფულისა და მასალის ხარჯვის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) შეადგინოს მუშაობის საბოლოო ანგარიში და ჩააბაროს ახალმშენებლობის სამმართველოს დამთავრებული სამუშაოები.

14. ახალმშენებლობის სამმართველოს გამგებლობაში ქონებულ სამუშაოთათვის საჭირო სახსარი შესდგება საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან და აგრეთვე ადგილობრივი და სხვა წყაროების შემოსავლიდან; ეს სახსარი სათანადო ორგანოების მიერ, საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმის მეშვეობით, გადაიცემა ახალმშენებლობის სამმართველოს განკარგულებაში, რომელიც ხარჯავს ამ სახსარს. იმ სამუშაოებისათვის, რასაც „ახალმშენებლობა" აწარმოებს ამა დებულების მე-2 მუხლის წესით, სახსარი გაიცემა საქართველოს სმუს-ის სათანადო ტრესტებისა და შენაერთების მიერ.

15. „ახალმშენებლობის" აპარატის შესანახად როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, გადაიდება პროცენტული ანარიცხი „ახალმშენებლობის" განკარგულებაში შესული ყველა თანხიდან; ამ ანარიცხის რაოდენობას განსაზღვრავენ უმაღლესი ორგანოები.

16. „ახალმშენებლობის" საქმეებისა და ანგარიშგების რევიზია დაეკისრება საქართველოს სმუს-ის სარევიზიო განყოფილებას და მასთან „ახალმშენებლობისათვის" არსებულ სარევიზიო აპარატს.

17. „ახალმშენებლობის" სამმართველოს ლიკვიდაცია მოხდეაა მის გამგებლობაში ქონებული ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ ან ამაზე ადრეც საქართველოს სმუს-ის დადგენილებით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო. „ახალმშენებლობის" სამმართველოს ლიკვიდაცია დაეკისრება სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც მოაწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით; წევრთაგან ერთ-ერთს დანიშნავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი.

სალიკვიდაციო კომისია თავის მუშაობაში ემორჩილება საქართველოს სმუს-ს. იგი მოახდენს მთლად იმ ქონების რეალიზაციას, რაც „ახალმშენებლობის" სამმართველოს განკარგულებაში იყო და გამოარკვევს ყველა მისდამი აღძრულ პრეტენზიას; ამ საქმის განსახორციელებლად სალიკვიდაციო კომისია ისარგებლებს ყველა იმ უფლებას, რაც მინიჭებული ჰქონდა „ახალმშენებლობას". „ახალმშენებლობის" სამმართველოს ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება არსებული კანონდებულებებით და მათ განსავითარებლად საქართველოს სმუს-ის მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

იმ საქმეებს, რაც სალიკვიდაციო კომისიის გაუქმების დღისათვის დამთავრებული არ იქნება სასამართლოში, აწარმოებს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

„ახალმშენებლობის" სამმართველოს ლიკვიდაციის ანგარიშს, ყველა დოკუმენტითურთ, სალიკვიდაციო კომისია წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სმუს-ს.

18. „ახალმშენებლობის" სამმართველოს იმ ვალებისათვის, რაც დაფარულ არ იქნება ლიკვიდაციის წესით, სამმართველოს და სალიკვიდაციო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსახსრობის გამო, პასუხს აგებს ხაზინა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახით.

19. ამა დებულების ყოველგვარი ცვლილება შეიძლება მოხდეს საქართველოს სსრ სმუს-ის პრეზიდიუმის ნებართვით, და ეს ცვლილება დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ.

---

97. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთავავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ივნისის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 162 №-ში 1928 წ. ივლისის 14.

დებულება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს შესახებ.

1. სამრეწველო მშენებლობისათვის ხელისშესაწყობად, რათა იგი ტეხნიკის საამდროვო მიღწევათა დონეზე იდგეს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან მოეწყობა სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭო.

2. სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს დაეკისრება: განიხილოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში შემოსული ახალი სამრეწველო მშენებლობის ყველა პროექტის ტეხნოლოგიური, ენერგეტიული და ეკონომიური ნაწილი და მისცეს დასკვნა ამ პროექტების გამო იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროექტები ტეხნიკისა და ეკონომიკის საამდროვო მიღწევათ, აგრეთვე რამდენი სი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულითაა გაშუქებული ამ პროექტებში აღძრული საკითხები და რამდენად შეეფარდება ეს პროექტები ადგილობრივ პირობებს ნედლეულობისა, მუშა-ხელისა და ენერგეტიკის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

3. სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს მუდმივ წევრებად არიან: საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და 10 წევრი-სპეციალისტი მრეწველობის სათანადო დარგისა. თავმჯდომარესა და მდივანს დანიშნავს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო მუდმივ წევრებს აარჩევს საბჭოს თავმჯდომარე მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტთაგან და დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

4. სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი მიიღებენ განსაკუთრებულ გასამრჯელოს თვიურად, ხოლო საბჭოს წევრნი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის მიიღებენ საჟეტონო გასამრჯელოს არა უმეტეს 8 მანეთისა საბჭოს თვითეულ სხდომაში მონაწილეობისათვის.

შენიშვნა. თავმჯდომარე და მდივანი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჟეტონო გასამრჯელოს არ მიიღებენ.

5. საბჭოს სხდომებს დანიშნავს საბჭოს თავმჯდომარე; იგივე დაამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს, რასაც საბჭოს მდივანი შეადგენს.

6. განსახილველ საკითხს მოახსენებს საბჭოს ან მდივანი, ან სპეციალური მომხსენებელი მუდმივ წევრთაგან, ხოლო დასკვნას იძლევა საბჭო ექსპერტიზის წესით.

7. ისეთი საკითხის შემუშავება, რაც სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, მიენდობა საბჭოს რომელსამე წევრს საბჭოს თავმჯდომარის არჩევით. ასეთ შემთხვევაში მუშაობისათვის გაღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული სასყიდელი საბჭოს თავმჯდომარისა და მომხსენებლის შეთანხმებით და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დამტკიცებით.

8. მდივანი აწარმოებს სხდომის ოქმს და აგროვებს საბჭოს მუშაობისათვის საჭირო ყველა მასალას. იგივე განაგებს ბიბლიოთეკას, რაც სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოსთან მოეწყობა.

9. სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს თავმჯდომარის შეხედულებით ამა თუ იმ ცალკე საკითხის დასამუშავებლად შეიძლება მიწვეულ იქნეს ისეთი სპეციალისტი, რომელიც საბჭოს წევრი არ არის, ყოველთვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემით; ამ გასამრჯელოს განსაზღვრავს სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს თავმჯდომარე მიწვეულ პირთან შეთანხმებით და დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

შენიშვნა. აღნიშნულ შემთხვევაში მიწვეული პირი ამა დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საჟეტონო გასამრჯელოს არ მიიღებს.

10. სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს მიერ გამოთქმული აზრი გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო-საგეგმო განყოფილებას, რომელიც წარდგენილი პროექტის გამო საერთო დასკვნის მიცემის დროს მიიღებს მას მხედველობაში.

11. იმ დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოში წარადგენს დასკვნისათვის პროექტს, გადახდება განსაკუთრებული სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდელი პროექტის ღირებულების 0,5%-ს რაოდენობით, უკეთუ ეს ღირებულება 500.000 მანეთამდეა და 0,25%-ს რაოდენობით, უკეთუ პროექტის ღირებულება 500.000 მან. აღემატება. აღნიშნული თანხები იხარჯება სპეციალურ სახსართა წესით სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს შენახვაზე.

---

98. დადგენილება ს. კ. ს.

ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელ გვარდიელებისა და აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის ხარისხოვანი სათესლე მასალის შეღავათიან პირობებში მიწოდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად 1928 წლის თებერვლის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კ. სფსრ კან. კრებ. 1928 წ. № 5, მუხ. 50) მე-2 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ხარისხოვანი სათესლე მასალის დამამზადებელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელგვარდიელებისა და აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის სათესლე მასალის მიცემის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით.

შენიშვნა. წითელ პარტიზანად და წითელგვარდიელად ჩაითვლება ის პირი, ვინც რეგულიარულ შეიარაღებულ ძალთა მოწყობამდე იბრძოდა წითელი გვარდიისა და წითელი პარტიზანების რიგებში პროლეტარული ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა საქმისათვის.

2. ერთი ფუთი სათესლე მასალის საგასაცემო ფასი ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელგვარდიელებისა და აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ოჯახების მეურნეობათათვის შემცირებულ უნდა იქნეს 10%-ით ამა თუ იმ რაიონში ერთ ფუთ გასაცემ სათესლე მასალაზე არსებულ ფასთან შედარებით.

3. სათესლე მასალის შეღავათიან პირობებში მიცემა სწარმოებს იმ სიების მიხედვით, რასაც ადგილობრივ შეიმუშავებენ საკრედიტო ამხანაგობებისა და სათემო აღმასკომების წარმომადგენელთაგან შემდგარი სპეციალური კომიები—სათანადო ორგანოების მიერ ხარისხოვანი სათესლე მასალის მისაღებად გაცემული მოწმობებით.

4. სათესლე მასალის რეალიზაციის შემდეგ სათესლე ჯგუფის მეურნეობანი და სათესლე მასალის დამამზადებელი დაწესებულებანი და ორგანიზაციები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ცნობებს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული კატეგორიის პირთა დაკმაყოფილების შესახებ თესლის როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზრო, ისე საგასაცემო ფასის აღნიშვნით,—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმისამებრ.

5. თვალყურის დევნება ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივნისის 19.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 175 №-ში 1928 წ. ივლისის 31.

---

99. დადგენილება ს. კ. ს.

ქალაქებში შენობების ხელახალი შეფასების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს მოახდინონ ყველა ქალაქში (გარდა ტფილისისა) 1928 წ. ოქტომბრის 1-დე შენობების ხელახალი შეფასება.

2. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად შენობების კუბატურის ღირებულების საშუალო ნორმები, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საშენიმასალისა და მუშა-ძალის რეალური ფასები.

3. შენობების ხელახალი შეფასებით გამოწვეული ხარჯები დაიფაროს 1928-29 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.

4. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ამა დადგენილების განსავითარებლად სათანადო ინსტრუქცია.

5. მიენდოს აფხაზეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოად. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსარის გამოყოფის შესახებ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერებისათვის სესხის გასაცემად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ სახსარი საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის სესხის მისაცემად—მათი ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერების მიზნით.

ამ საჭიროებისათვის გამოსაყოფი წლიური თანხის რაოდენობას, მაზრის ეკონომიური მდგომარეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ძალოვნების მიხედვით, განსაზღვრავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ივნისის 26.
ტფილისი—სასახლე.

---

101. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. იანვრის 18-ს დამტკიცებული დებულება საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 6-ს დადგენილება—საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. მე-3—4 №-რი, მუხ. 19) და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. თებერვლის 17-ს დადგენილება—საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულებისათვის მე-5[1] მუხლის დამატების შესახებ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-რი მუხ. 32).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 13.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ.

I. სამშენებლო საქმის ტეხნიკურად მოსაწესრიგებლად, სამშენებლო ნორმებისა და სავალდებულო დადგენილებების შესამუშავებლად და შესათანხმებლად, და, აგრეთვე, სამშენებლო მუშაობისათვის ტეხნიკური ინსპექტიობის გაწევის საქმეში სხვადასხვა დავალების შესასრულებლად, საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებობს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი.

II. საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაეკისრება:

1. შეიმუშაოს და განიხილოს საკანონმდებლო დაწესებულებებში შესატანი ყველა დადგენილების პროექტი, რაც მშენებლობას ეხება, და დასკვნა მისცეს ასეთი პროექტების შესახებ;

2. შეიმუშაოს საკითხები და ხელმძღვანელობა გაუწიოს უწყებათა მუშაობას:

ა) ტეხნიკური და სახანძარო უშიშროებისა, რაციონალური დაგეგმვისა და აღნაგობისა, ტეხნიკური და სანიტარულ-ტეხნიკურ პირობების ნორმების შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში;

ბ) სამუშაო ერთეულზე მუშა-ძალისა და მასალის დახარჯვის საგადანაკვეთო ნორმების შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში;

გ) პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, ტეხნიკური ანგარიშგებისა და საკონკურსო პროგრამების შედგენისა, მსვლელობისა და დამტკიცების წესის შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში;

დ) სამშენებლო სამუშაოს და საშენი მასალის ჩაბარებისა და მიღების წესისა და ტეხნიკური პირობების შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში;

ე) მუშაობის წარმოების ტეხნიკური პირობების შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში;

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მშენებლობის ნაწილში დადგენილი ნორმებისა და წესების შესრულებისათვის ტეხნიკური და ფინანსიური კონტროლის გაწევის წესის შემუშავებისა და გადასინჯვის სფეროში.

3. შეიმუშაოს დებულებანი საამშენებლო-სატეხნიკო ზედამხედველობის ადგილობრივი და სამაზრო ორგანოებისათვის.

4. გაუწიოს ხელმძღვანელობა საამშენებლო-სატეხნიკო ადგილობრივ და სამაზრო ორგანოებს და წარმართოს მათი მუშაობა.

5. შეიმუშაოს საკითხები და ღონისძიებანი მშენებლობის რაციონალიზაციისა, სტანდარტიზაციისა და გაიაფებისათვის.

6. განიხილოს და დაამტკიცოს, წესებისა და ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნათა მიხედვით (ამა დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნ.), ახალ და კაპიტალურად გადასაკეთებელ ნაგებობათა და, აგრეთვე, კაპიტალური რემონტის სამუშაოთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვები და მისცეს დასკვნა ასეთი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების თაობაზე; ამასთანავე საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის კომპენტენციის ფარგლები მშენებლობის სფეროში განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

7. განიხილოს და დაამტკიცოს ახალი, დაგეგმვის პროექტები და მოაწესრიგოს საქალაქო, საგარეკო, სასოფლო და დასახლებული ადგილების აღნაგობის საქმე.

შენიშვნა. საამისო ინსტრუქციას საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის კომპენტენციის ფარგლების თაობაზე დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

8. გაუწიოს სატეხნიკო-საინსპექტორო ზედამხედველობა ახალ და კაპიტალურად გადასაკეთებელ ნაგებობათა მშენებლობას და აგრეთვე მშენებლობის თაობაზე არსებულ კანონდებულებებისა, ნორმებისა და წესების შესრულებას; ამასთანავე, ამავე ზედამხედველობის სამუშაოთა ფარგალს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

9. შეჯუმლოს და პერიოდულად გამოაქვეყნოს ცნობები საშენი მასალისა და მუშა-ხელის ფასების შესახებ რესპუბლიკაში.

10. შეჰკრიფოს და შეჯუმლოს მასალები, რითაც გამორკვეულ იქნება უახლოესი ხუთის წლისა და თვითეული წინამდებარე წლისათვის საამშენებლო სამუშაოთა მოცულობა და ამ სამუშაოთა ღირებულება ყოველგვარი მშენებლობის სფეროში რესპუბლიკაში.

11. ამა დებულების მე-6 და 7 მუხლებში ჩამოთვლილი პროექტების სამხატვრო-საარქიტექტურო მხრით წინასწარი განხილვისათვის, აგრეთვე გამოსაცხადებელი სამხატვრო-საარქიტექტურო კონკურსების პროგრამების წინასწარი დამტკიცებისათვის საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებობს სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭო, რომელიც შესდგება სპეციალისტი-მხატვრებისა და არქიტექტორებისაგან საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს დანიშვნით.

IV. ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია მოვალეა წარუდგინოს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს მის მიერ წარმოებული მუშაობის საანგარიშო ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები იმ ვადაზე და იმ ფორმით, რასაც საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი დააწესებს.

V. უკეთუ სატეხნიკო კონტროლის განხორციელების დროს გამორკვეული იქნება მშენებლობის საერთო-სახელმწიფოებრივი ნორმებისა და სავალდებულო დადგენილებების დარღვევა საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შენიშნულ ნაკლულოვანებათა გასწორება და თავიდან აცილება;

ბ) უკეთუ ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნა, შეადგინოს აქტი და მისცეს დამნაშავე პასუხისგებაში ადმინისტრატიული ან სასამართლო წესით;

გ) უკეთუ საზოგადოებრივ უშიშროებას აშკარა საფრთხე მოელის, შეაჩეროს მუშაობა სათანადო ორგანოს მეშვეობით და ჩამოაცილოს საქმე მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ უფლებათ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი განახორციელებს სათანადო სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

VI. საჩივარი საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის უკანონო გადაწყვეტილებისა და მისი თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებაზე შეიტანება არსებული წესისამებრ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში.

VII. საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის წევრთა რიცხვს და პერსონალურ შედგენილებას განსაზღვრავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო; იგივე დანიშნავს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს.

VIII. საამშენებლო-სტეხნიკო კომიტეტის მუდმივ მომუშავე აპარატს შეადგენენ თავმჯდომარე, მისი მოადგილე და საჭირო რიცხვი თანამშრომელ-სპეციალისტებისა მშენებლობაში, სათანადო წესით დამტკიცებული შტატის მიხედვით. საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის თანამშრომელ—არა წევრს დანიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე.

IX. ისეთი საკითხის განხილვის დროს, რაც ამა თუ იმ უწყების ინტერესებს ეხება, მიწვეულ უნდა იქნეს ამ უწყების წარმომადგენელი.

X. კომიტეტი აწარმოებს თავის სხდომების ჟურნალს და წარდგენილი პროექტების გამო მიღებულ ყველა თავისი დასკვნისა და დამტკიცების განსაკუთრებულ აღნუსხვას.

XI. საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ითვლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვაზე.

XII. ამა დებულების განსავითარებლად შეიძლება გამოცემულ იქნეს განსაკუთრებული ინსტრუქციები, რასაც შეიმუშავებს საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

102. დადგენილება ს. კ. ს.

ამიერ-კავკასიის რკინისგზისათვის ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურიდან რიონის ჰიდრო-ელექტრონის სადგურამდე ელექტროგადაცემის ხაზის გასაყვანად და ამ მიზნისათვის საჭირო ნაგებობათა და შენობათა მოსაწყობად სათანადო მიწების მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-5 მუხლისა და 119 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს ამიერკავკასიის რკინისგზას ტფილისისა, გორისა, შორაპნისა და ქუთაისის მაზრის ფარლებში სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებისა, საქალაქო მიწებისა, შრომითი სარგებლობის მიწებისა და აგრეთვე დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, საზოგადოებათა და კერძო პირთათვის გადაცემული მიწების შედგენილობიდან—ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურიდან რიონის ჰიდრო-ელეკტრონის სადგურამდე ელექტრო-გადაცემის ხაზისა და სათანადო ნაგებობათა და შენობათა მოსაწყობად და საექსპლოატაციოდ საჭირო:

ა) მიწის ზოლი ელექტრო-გადაცემის ხაზისათვის სიგანით საშუალოდ 10 მეტრამდე და სიგრძით 186 კილომეტრამდე, ხოლო სულ საერთო სივრცე—186 ჰექტარამდე;

ბ) მიწის ნაკვეთები საყრდნობთა ფუძისათვის ელექტრო-გადაცემის ხაზის მთელს სიგრძეზე რიცხვით 1.000-მდე და სივრცით თვითეული ნაკვეთი—150 კვადრატულ მეტრამდე,ხოლო სულ საერთო სივრცე—15 ჰექტარამდე;

გ) მიწის ნაკვეთები ათი სადარაჯო სახლის ასაშენებლად—2.500 კვადრატული მეტრი თვითეული სახლისათვის კარ-მიდამოთი, ხოლო სულ საერთო სივრცე—5,5 ჰექტარი.

დ) მიწის ზოლი გზისა და ბილიკისათვის ელექტროგადაცემის ხაზის სამომსახურეოდ იმ ადგილას, სადაც აღნიშნული გზა და ბილიკი სცილდება ამა მუხლის „ა" პუნქტში გათვალისწინებულ ზოლს, სიგანით საშუალოდ 4 მეტრამდე და სიგრძით 50 კილომეტრამდე, ხოლო სულ საერთო სივრცე—20 ჰექტარამდე.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა" პუნქტში გათვალისწინებული მიწა დაეტოვება მიწათმოსარგებლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მიწაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესია, იმ პირობით კი, რომ ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობა პასუხისმგებელი არ იქნება იმ ზარალისათვის, რაც მიწათმოსარგებლეს შეიძლება მოუვიდეს ელექტროგადაცემის ხაზის მოწყობით, ექსპლოატაციით და რემონტით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ღონისძიების სისრულეში მოყვანა დაეკისრება: არა საქალაქო მიწების მიმართ—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ხოლო საქალაქო მიწების მიმართ—სათანადო ქალაქის საბჭოს.

3. ზემოაღნიშნული სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევა და მიკუთვნება მოხდება საქართველოს სსრ მიწის კოდექსში გათვალისწინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ; ამასთანავე აუცილებლად შეფარდებულ უნდა იქნეს ის წესი, რაც დადგენილია ამავე კოდექსის 129 მუხლის შენიშვნაში.

4. ტეხნიკური ხასიათის ყველა სამიწათმოწყობო მუშაობა სწარმოებს ამიერკავკასიის რკინისგზის შტატით და მისივე ხარჯით, ხოლო ამ მუშაობას მეთვალყურეობას და კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ სათანადო საადგილმამულო ორგანოები.

5. ამა დადგენილების ძალით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს აენაზღაურება მიწისათვის გაწეული და ჯერ კიდევ გამოუყენებელი ხარჯი და აგრეთვე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა და ნაგებობა (მათ რიცხვში ხე და ნაგებობა, რაც მე-7 მუხლის შენიშვნის თანახმად აღებულ უნდა იქნეს) ამიერკავკასიის რკინისგზის ხარჯით—ამ საგანზე არსებული საერთო წესისამებრ.

6. ამიერკავკასიის რკინისგზას უფლება აქვს მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთები ფაქტიურად დაიჭიროს დაუყოვნებლივ, როგორც კი საჭირო სამიწათმოწყობო მუშაობა შესრულდება.

შენიშვნა. მიწის ნაკვეთების ფაქტიურად დაჭერის წესი და ვადები დადგენილ უნდა იქნეს ამიერკავსიის რკინისგზის გამგეობის შეთანხმებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ან სათანადო ქალაქის საბჭოსთან კუთვნილებისამებრ.

7. აკრძალულ იქნეს მომავალში შენობების აგება და მაღალტანიანი ხეების ჩარგვა თხუთმეტმეტრიანი ზოლის ფარგალში ელექტრო-გადაცემის ხაზისათვის მიწების გამოყოფის საზღვარის ორივე მხარეზე (1-ლი მუხლის „ა“ პუნქტი).

შენიშვნა. აღნიშნული თხუთმეტრიანი ზოლის ფარგალში ამჟამად მდებარე შენობანი და მაღალტანიანი ხეები აღებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობის მოთხოვნით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაზე,—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ან საქალაქო საბჭოსთან შეთანხმებით—კუთვნილებისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ივანოვ-კავკაზსკი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ბ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 3.
ტფილისი—სასახლე.

მუხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

103. დადგენილება ს. კ. ს.

საბავშვო ბაგათა შესახებ.

მუშა-ქალთა საბავშვო ბაგებით უზრუნველყოფისათვის — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1928 წლის ოქტომბრის 1-დან სავალდებულო გადასახადი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთათვის, რომლებშიაც ქალთა შრომა თვალსაჩინოდ არის გამოყენებული, სამუშაო ხელფასის ფონდის $^1/_4$%-ის რაოდენობით, იმ ბაგათა შესანახად, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მარტოოდენ უწყებული საწარმოს მუშა-ქალებს, მიუხედავად უწყებული საწარმოს ტერიტორიაზეა თუ მის გარეშე.

შენიშვნა. ბაგათა შესანახი გადასახადის გასტუმრების წესებს და იმ საწარმოთა სიებს, რომლებმაც ეს ანარიცხები უნდა გადაიხადონ, დაადგენს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

2. იმ სამრეწველო ტრესტებში, სადაც ქალთა შრომა თვალსაჩინოდ არის გამოყენებული, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის არსებული წესისამებრ განაწილების დროს, ამ ფონდიდან გამოყოფილ უნდა იქნეს ბაგათა ასაშენებლად და შესანახად არა ნაკლებ 5%-ისა, ხოლო იმ ტრესტებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, ამ მიზნისათვის გამოსაყოფი თანხები აუცილებლად სათანადოდ უნდა იქნეს გადიდებული.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდიდან გამოყოფილი თანხები უნდა გადაეცეს ჯანმრთელობის სათანადო ადგილობრივ ორგანოებს და მათ ეს თანხები უნდა მოახმარონ უწყებული ტრესტის მუშა-ქალთა ბავშვების ბაგათა აშენებას, გაფართოებას და გაწყობას იმ მტკიცე გეგმების მიხედვით, რაც შეთანხმებულ იქნება სათანადო ტრესტებსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა დაწესებულებებსა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოს გადასცეს, სამი თვის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მათ გამგებლობაში მყოფი ბაგანი ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს დააწესოს მთლად ბაგათა მოსამსახურე პერსონალისათვის, ექიმების გამოკლებით, 8 საათის სამუშაო დღე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს განიხილოს, დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების მონაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობით, საკითხი უფრო იაფი ტიპის ბაგათა მოწყობის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესახებ—ხსენებულ ბაგათა მასიური გავრცელებისა და ამ გზით მუშა-ქალთა ბავშვების ყოფა-ცხოვრებაზე სათანადო გავლენის მოხდენისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ივანოვ-კავკაზსკი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 13.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1487. დაიბეჭდა 1250.